

განმარტებითი ბარათი

„საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წინამდებარე ცვლილება განპირობებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის პრაქტიკისა და შესაბამისი კანონმდებლობის ანალიზიდან გამომდინარე დასკვნებითა და იმ ახალი გარემოებებით, რომელშიც მოუწევს საქმიანობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ მოქმედი კანონმდებლობისა და განვლილი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, წინამდებარე კანონპროექტის მიზანია წარმოადგენს სასაკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ხდება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში „სუბსიდიარობის პრინციპის“ შემოღება იმ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოში სადავოდაა გამხდარი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ისე რომ არ არის გასაჩივრებული კანონი, რომლის საფუძველზეც არის იგი მიღებული აღნიშნული კი იწვევს მოსარჩელის უფლების არაეფექტურ დაცვას.

მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვერ სცდება სარჩელში დაყენებულ დავის საგანს და ვერ შხველობს იმ კანონის კონსტიტუციურობაზე, რომლის საფუძველზეც და შესასრულებლადცაა გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად რომც სცნოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, მოსარჩელის უფლება დაცული მაინც ვერ იქნება, რამდენადაც ძალაში რჩება კანონი, რომელიც საფუძველად დაედო არაკონსტიტუციურად ცნობილ კანონქვემდებარე აქტს.

საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში „სუბსიდიარობის პრინციპის“ შემოსაღებად საჭიროა შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“

საქართველოს კანონის“ მე-18 მუხლში, რომელშიც აღნიშნულიაის გარემოებები რა შემთხვევაშიც არ ხდება კონსტიტუციური სარჩელის არსებითად განსახილველად მიღება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალზედ ხშირად მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში გამოთქმულ მოსაზრებებს, შეფასებებს და პოზიციებს არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ, არა მხოლოდ იმ პირებისათვის, ვის საქმესაც განიხილავს სასამართლო, არამედ მთელი საზოგადოებისათვის. ამრიგად საზოგადოების და სხვადასხვა დაინტერესებული პირების (გარკვეული ინტერეს-ჯგუფების) საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობის და სასამართლო ეფექტურობის გაზრდის მიზნით, სასურველია საკონსტიტუციო სასამართლოში დასაველეთის ქვეყნებში აპრობირებული Amicus Curiae-ს (ე.წ. “სასამართლოს მეგობრის”) ინსტიტუტის დანერგვა. არსებული მდგომარეობით, სასამართლოს შეუძლია, პროცესზე მოიწვიოს მოწმე, სპეციალისტი ან ექსპერტი. თუმცა კანონმდებლობაში არ არის გაწერილი, რომ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს შეუძლია სასამართლოს გამოუგზავნოს თავისი მოსაზრებები მიმდინარე საქმის გადაწყვეტასთან დაკავშირებით. ამ თვალსაზრისით, სასურველი იქნება სამართალწარმოების შესახებ კანონში გაიწეროს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლება, მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლოს მიაწოდოს თავისი მოსაზრებები, რომელთა გაზიარებაც, რა თქმა უნდა სავალდებულო არ იქნება სასამართლოსათვის, მაგრამ მათ შეიძლება მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ სასამართლო გადაწყვეტილებების სრულყოფილებაში.

“საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-16 მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომლებსაც უნდა მოიცავდეს კონსტიტუციური სარჩელი. ამ საკითხების მნიშვნელობასთან და ფორმასთან დაკავშირებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ჩამოყალიბებული აქვს პრაქტიკა, რაც მოსარჩელისთვის (განსაკუთრებით ეს ეხება მოქალაქეებს, რომლებიც არ სარგებლობენ სამართლებრივი დახმარებით), დიდ წილად არ არის ხოლმე ცნობილი. შესაბამისად, მე-16 მუხლით გათვალისწინებული საკითხები ადეკვატურ ასახვას ვერ პოუბენ კონსტიტუციურ სარჩელებში. ამავე კანონის მე-18 მუხლის “ა” ქვეპუნქტის საფუძველზე კი, მე-16 მუხლით დადგენილი მოთხოვნების დაუცველობა სარჩელის განსახილველად არმიღების საფუძველს წარმოადგენს. ამასთან, მაშინაც კი, როდესაც მე-16 მუხლით გათვალისწინებული ყველა საკითხია მოცემული სარჩელში, იმის გამო, რომ ინფორმაცია ქაოტურად არის განლაგებული ან სარჩელში მსჯელობა წინააღმდეგობრივია, განსაკუთრებით დიდ

რესურსს მოითხოვს სარჩელში დაყენებული მოთხოვნის არსის გარკვევა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს უნდა მიენიჭოს უფლებამოსილება, შეიმუშაოს სარჩელის ფორმის ნიმუში, იმის ანალოგიურად, როგორც ეს მოქმედებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს საერთო სასამართლოებში.

ამ პროექტით ნერგავს კონსტიტუციური სარჩელების ე.წ. სავალდებულო "სააპლიკაციო ფორმას", რომელიც გაუადვილებს, როგორც მოსარჩელე მხარეს ლაკონურად და გასაგებად ჩამოაყალიბოს თავისი სასარჩელო მოთხოვნა, ისე სასამართლოს, რათა მან ზუსტად განსაზღვროს კონსტიტუციური დავის არსი და მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს საქმის განხილვის დროს უფლება არ ჰქონდა, თუ არ არსებობდა მეორე მხარის მოთხოვნა, თავისი ინიციატივით მოეხსნა ერთ-ერთი მხარის მიერ დასმული შეკითხვა, თუკი შეკითხვა საქმესთან არ იყო დაკავშირებული, ან თუ მხარე ბოროტად იყენებდა შეკითხვის დასმის უფლებას. ზემოაღნიშნულ კანონპროექტში ეს ხარვეზი გამოსწორებულია.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული იმ პირების ფინანსურ ვალდებულებებთან, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოდების ვალდებულებას და შესაბამისად, არ აღგენს მის ოდენობასა და გადახდის წესს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი – პაველე კუბლაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი – პაველე კუბლაშვილი